



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 64

07/10/2020

ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტის „ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“ პარტიული სიის რეგისტრაციაში გატარების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 41-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 74-ე მუხლის მე-11 პუნქტის და საარჩევნო სუბიექტის „ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“ თავმჯდომარის მიერ 2020 წლის 29 სექტემბერს და 2020 წლის 05 ოქტომბერს წარმოდგენილი (უსკოში რეგისტრაციის №01-26/106 და №01-26/152) განცხადებების საფუძველზე, ვადგენ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს საარჩევნო სუბიექტის „ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“ პარტიული სია, გარდა:

- ა) დავითაძე გიორგი (პარტიულ სიაში №8);
- ბ) დევაძე ჟუჟუნა (პარტიულ სიაში №10);
- გ) ჯაბნიძე შუქურა (პარტიულ სიაში №23).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე